# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 281. შაბათი, 25 დეკემბერი 1904 წ. გაზეთის № 2709.



**სიკსტის მადონა (ღვთის-მშობელი).—სურათი რაფაელისა.**

### პირველი სხივი

მთას ბურუსი შემორტყმია,
ნისლს მინდორი დაუფარავს,
ქარი გმინავს და ბობოქრობს,
არე-მარეს აკრთობს, ჰზარავს!
ტყეს ტოტები დაუშვია,
ბაღში ვარდი მთლად გახრწნილა,
წუვდიადია. ჩუ! ბუმ სადღაც
დაიკვნესა, დაიკივლა.
რას დავეძებ ბუნებისა
ცრემლებსა და კაეშანსა,
გლოვის ძაძით შემოსილსა,
მაღლა ცასა და დაბლა ბარსა!
გულში, გულში გაზაფხულის
სხივმა დაჰკრა, გაიცინა
და იმედმა, ფრთა შესხმულმა,
აღმადგინა, აღმაფრინა!
ქარი კვნესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრთოლავს გული,
ეს პირველი სხივი არის:
მეგობრებო, გაზაფხული!

**ი. ევდოშვილი.**

# ძალუა თებრო

## I

თავ-ჩაღუნული მიდიოდა, მობუზული... ძველ შალში გახვეულიყო, იღლიაში დაკეცილი ფეშტამალი ამოეჩარა და ისე ჩაფიქრებული მიაჩლატუნებდა თავისს დაფლეთილ ჩუსტებს, თითქო ამოდენა ქალაქს სიკვდილის სუდარა შემოხვევია და სიცოცხლე და მოძრაობა შეუწყვეტიაო. კაი დღე მოახლოვებული იყო, ქუჩებსა და მოედნებზე ხალხის ზღვა ბობოქრობდა. აგერ ესეც შეერია ამ ხალხს, მაგრამ ვერც არას ხედავდა, არც არა ესმოდა-რა. ამოდენა ხალხში გაჩხერილი, უაზროდ მიარღვევდა ბრბოს, გზას იკვალავდა სახლისაკენ. ფიქრსა და ოცნებას კი შორს გაეტაცნა, ძალიან შორს, „ცხრა მთას იქით“, იმ ადგილისკენ, საცა ათას და ასი ათას დედათა ნაწვავ-ნადაგნი სამსხვერპლოზე მიჰყავდათ ზვარაკად... სისხლით შორწყული მინდორ-ველი ეხატებოდა თვალ-წინ საცოდავს დედა-კაცს და აქ იმის მიხას პირველი ადგილი ეჭირა, ის ირჩეოდა სხვათაგან...

შარშან-წინ ამ დროს, სწორედ შობის წინა ღამეს, ლამაზი ტახტი უძღვნა მიხამ თავის დედას. იმ წელს დალოცა ოსტატმა ხელოსნად. დედაცა და შვილიც გამოცოცხლდნენ, წელში გაიშალნენ, ოჯახის ფეხზე დაყენებას შეუდგნენ. რაც კი ახალგაზრდა დურგალს შეჰფეროდა, მიხაც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ამ დროს სამხედრო ბეგრის ჯერი დაუდგა და გულიდან მოჰგლიჯეს დედას თავისი იმედი და ნუგეში. მეორე შვილი, გაბრო, ოჯახს არას არგოდა. მართალია კვირიდან კვირამდე თავით თაბახს ატარებდა, „დული იაბლოკის“ რიხიანად გასძახოდა და ბლომა ფულსაც იძენდა, მაგრამ მთელი კვირის ნაშრომს ერთ დღეს გააქრობდა სადმე. ამ ორ წელიწადში თითქო უფრო დაჭკვიანდა გაბრო, თაბახს დაეთხოვა და კვირაობით ხილითა და მზის-უმზირას მარცვლით ვაჭრობა დაიწყო ალექსანდრეს ბაღის გვერდზე, მაგრამ ძმა-ბიჭები იქაც არ ასვენებდნენ გაბროს: თითო თუნგ ღვინის ფულს ყოველთვის გამოსცინცლავდნენ ხოლმე და სახლისთვის ველარას ანარჩუნებდა. ესეც არ იყოს, პაწაწა ადგილზე ათ შაურს იხდიდა ქირას, ახლა პოლიციელისათვისაც უნდა მიეცა რამე, თორემ ისე არ გაუშვებდა, და რაღა უნდა დარჩომიყო საწყალ ბიჭს. მართალია, დედა ძალიან ეცოდებოდა, უნდოდა ყოველის მხრით შეემსუბუქებინა შვილის მოშორებით აღძრული დარდი და ნაღველი, მაგრამ ვერ ახერხებდა... აი, ახლაც სარეცხიდან ბრუნდებოდა თებრო, მთელი კვირა რეცხა და აუთოვა სხვის სარეცხი, დღეს მიიღო ოთხი მანეთი, მაგრამ რისთვის და ვისთვის უნდოდა?

„ვინ იცის, იქნება ჩემი მიხა სადმე ჰგდია ტყვიით გულგანგმირული და... უიმეე!“—ისე მწარედ ამოიოხრა თებრომ, თითქო გული თან ამოაყოლაო და ქუჩის ერთის მხრიდან უეცრად გაიქრა მეორე მხრისაკენ, თითქო უნდოდა ჩქარა მოშორებიყო იმ ადგილს, საცა ეს საშინელი ფიქრი მოუვიდა.

— ჰეი, ჰეი, ჰეი!—გაისმა ყოველის მხრით. ვიღაცამ ხელი ჰკრა თებროს და უკან დაახევინა. თებრო ახლა გამოერკვა, ცხადად დაინახა, რომ სიკვდილს გადარჩა. ელექტრონის ვაგონი თუმცა დინჯათ, მაგრამ საშინელის ზარის წკარუნითა და ძლიერებით მოსრიალებდა და გასრესას უქადდა ყველაფერს, რაც კი გზაზე გადაეღობებოდა.

— იჰ, ჯანაბა ჩემ თავს!—ჩაიდუდუნა თებრომ და გულდაწყვეტილად აჰხედა გაჩირაღდნებულ ვაგონს,—ბარემ მოვრჩე... ამ დროს უცბად მოაგონდა რაღაც და საჩქაროდ ხელი წაივლო უბეზე: შეეშინდა, ამოდენა ხალხში არავინ მომპაროს ის, რაც ჩემთვის ძვირფასი არისო. ეს იყო წერილი, ამ ოთხის თვის წინად გამოგზავნილი მიხასაგან. ამ წერილს ავგაროზივით თან ატარებდა თებრო. დღისით, ათას ნაირად ქაღალდებში გახვეულს, უბით ატარებდა, ღამე კი, თუ გვიან არ დაბრუნდებოდა სამუშაოდან და თუ მჭედლიანთ გიგა დაუძინებელი დახვდებოდა, მოისვამდა გვერდით, წააკითხებდა ამ წერილს და თავქვეშ ამოიდებდა. თუ მეზობლის ბავშვს ეძინა, მაშინ თებრო წყნარად გახსნიდა, სასოებით აკოცებდა და მოჰყვებოდა კითხვას. საიდან იწყებოდა წერილი, ეს კარგად იცოდა თებრომ, მაშასადამე, ხალისით შეუდგებოდა საქმეს და თუმცა ანბანისა არა გაეგებოდა-რა, შვილის წერილს მაინც ჩინებულად კითხულობდა, რადგან ყოველი სიტყვა ზეპირად იცოდა. მართალია, თებროს გაზეპირებულ სიტყვებს ერთი ან ორი სტრიქონი ხან მოაკლდებოდა, ხან მოემატებოდა, რადგან ზოგი სიტყვები ერთმანეთზე იყო გაბმით დაწერილი, ზოგი შუაში გაყოფილი, მაგრამ ისიც მართალია, რომ როცა გიგლა უკითხავდა მიხას წერილს, ზოგ სიტყვებს პირში აძლევდა თებრო. გიგლას მობეზრდა მიხას წერილის კითხვა და ზოგჯერ ძალად მოიმძინარებდა ხოლმე თავს. მიხას წერილი ამანაც თითქმის ისე გაიზეპირა, რომ ამხანაგებმა „თებროს დიაკვანი“ დაარქვეს. არ მოსწონდა ეს სახელი პატარა მოწაფეს, მაგრამ ძალუა თებროსაგან მოტანილი ხილი და ტკბილეულობა ძალიან იზიდავდა თავისკენ...

## II

— ა, გაბრო, გძინავს, შვილო?—წყნარად გაისმა სიბნელეში მოკრძალებული ხმა დედისა.

პასუხი არსაიდან იყო.

— ოოჰ!—მძიმედ ამოსკდა დაკოდილ გულიდან და გაჩუმდა... თებრო ლოგინში წამომჯდარიყო და მუხლებზე დაბჯენილ ხელებზე თავი დაეყრდნო. იმისი მშფოთვარე არსება ეძებდა, უძახოდა მეორეს, თავისსავე ხატებას, უნდოდა ხმა გაეცა, გამოხმაურებოდა...

— გაბრო! გძინავს შვილო?—ხმის კანკალით განიმეორა დედამ და თანაც ძალზე დაახველა.

— ჰა, დედი, რა ამბავია?—შეშფოთებით ჰკითხა ახალგაზდა ბიჭმა დედას, და თანაც სასტუმალთან მიგდებულ პალტოს წაავლო ხელი, სპიჩკა ამოიღო და ლამპა აანთო.

— როგორღაც გული მიღონდება, შვილო, თითქო ვიხრჩობი,—სთქვა თებრომ და თანაც ტირილი წასკდა, როცა შეშინებული გაბრო ალერსით მოეხვია და აკოცა. თებროს შერცხვა, რომ ნამდვილი მიზეზი არ დაასახელა, შესცოდა შვილის წინაშე იმით, რომ იცრუა, მაგრამ იცრუა კი? არა, თებრომ მართალი სთქვა, ბოლმა შემოაწვა გულზე, ყელში ბრჭყალები წაუჭირა და ახრჩობდა. ბევრი იტრიალა ლოგინში, ბევრი ეწვალა, მაგრამ აშფოთებულმა გულმა და გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა და თებრომაც ველარ გაუძლო: მთელ დღეს ფეხზე ნადგომი ბიჭი გააღვიძა და იმის წინ გადმოანთხია მდუღარება.

— რას სტირი, დედი, დღეს ბედნიერი დღეა, რა დროს ტირილია!—თითქო საყვედურით უთხრა გაბრომ და თავზე ხელი გადაუსვა დედას.

— არა, ისე, შვილო... ცუდი სიზმარი ვნახე და...—კიდევ ამოუჯდა გული თებროს, თუმცა არავითარი სიზმარი არ უნახავს, ან როგორ ნახავდა, როცა თვალი არ მოუხუჭავს... დარდი ახრჩობდა, შვილი მტრის ხმალ ქვეშ ეგულებოდა...

— შენ გენაცვალოს დედა, ერთი გიგლას დამიძახე. იქ... ერთი სიტყვა კარგად ვერ გავიგე რაღაც...

— დედი, რა დროს გიგლაა, ჯერ რიჟრაჟიც არაა შემოსული,—უკმაყოფილოდ მიუგო გაბრომ.



**წმ. ანტონ პადუელი** და **ყრმა იესო.**—სურათი მურილიოსა.

— რამდენი ხანია, შვილო მაიას ხმა გავიგონე, ქათმებს აპურებდა... კარგი თუ გინდა...—გულდაწყვეტით სთქვა თებრომ და გაჩუმდა.

— ინათლებს თუ არა, დავუძახებ. ფიქრი ნუ გაქვს! დარდიმანდულად უთხრა გაბრომ და დედის ყურადღება სხვას მიაპყრო: უჩვენა საშობაოდ ნაყიდი ღორის ხორცი, კარგი მსუქანი დედალი, სუკი, ყველი, ღვინო და სხ. და სხ. თებრომ ყველა ამაებს სიამოვნებით გადაჰხედა, მაგრამ ისევ მოღრუბლა სახე...

— შენი ძმაც რომ სჭამდეს ამას, შვილო, კარგია, მაგრამ...

— არა უშავს-რა, დედი, გაისად ღმერთი ინებებს და ერთად გავითენებთ შობას.

თებრომ თავი ჩააქნია, თითქო ამბობდა—ღმერთმა იცისო... გაბრო ისევ შეგორდა ლოგინში, თებროც უფრო დამშვიდდა და ჩაწვა, თუმცა გათენებამდე არც ერთს ძილი აღარ მიჰკარებია.

გათენდა. მზე კარგად მოეფინა ქვეყანას. ფომინის ვიწრო ქუჩა ახმაურდა, ხალხით გაიჭედა. ზოგი ანჩისხატში მიდიოდა წირვაზე, ზოგი—ტოლ-ამხანაგთანა და მეზობელთან შობის დღესასწაულის მისალოცად. ეს ღარიბთა უბანი თითქო გამოცოცხლდა, სადღესასწაულოდ გამოეწყო. მარტო ძალუა თებროს სადგომის კარი იყო გამოკეტილი, მარტო იქ არ ისმოდა ადამიანის ჰაჰანება.

ძალუა თებროს ყველა იცნობდა არა თუ ამ ქუჩაში, ახლომახლოც. ყველა პატივსა სცემდა ამ ქალს და ყველა იბრალებდა, რადგან ეს ორი შვილი ახალგაზრდა ქვრივს თავის თითონ შრომით გამოეზარდნა.

ახლაც, დეპეშის დამტარებელმა რომ თებრონია შრომაძის სახელი ახსენა, ყველამ იმ ეზოსკენ მიუთითა, სადაც ძალუა თებროს ერთი პატარა ოთახი ექირა და თავის შვილით სცხოვრობდა. დეპეშის დამტარებელმა მაგრად დააბრახუნა ამ ოთახის კარები.

— ვინა ხარ?—გამოსძახა ხმამ სახლიდან და ოდნავ გააღო კარები.

— დეპეშა!—უგემურად სთქვა და მიაჩეჩა ხელში დამტარებელმა დეპეშა. გაბრომ გამოართვა, მაგრამ ისე აიტანა კანკალმა, არ იცოდა რა ექნა ამ ქაღალდისათვის. ნახევრად ჩაუცმელი დედა-კი იდგა შვილის გვერდით და გაშტერებული შეჰყურებდა გადაფითრებულ გაბროს.

— მიხასია, შვილო?—ძლივს წამოილუღლუღა თებრომ,—სთქვი, შვილო...—და მთელის ტანით თრთოლამ აიტანა.

— რა ვიცი დედი, მე უბედურმა, აბა რა ვსთქვა, რა ვიცი ვისია...—ტირილის კილოთი მიუგო შვილმა, თითქო ახლა იგრძნო თავისი არარაობა, რომ ამ ორი სიტყვის წაკითხვაც არ შეეძლო.

— მოიტა, მე წაგიკითხავთ,—უთხრა დამტარებელმა და გულ-არხეინად გახსნა დეპეშა. ბალაჯარა: „25 საღამოს შინ ვიქნები. დამითხოვეს, ხელში დაჭრილი ვარ. ომისთვის გამოუსადეგარი. გაკოცებთ. მიხა.“

— უი, შვილო!..—შესძახა გაქვავებულივით მდგომმა თებრომ და ბედნიერების ცრემლები წასკდა აქამდე უბედურს დედას...

**განდეგილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კაპიტანი ნ. კლადო,**

რომელმაც „ნოვოე ვრემია“-ში გამოამჟღავნა რუსის ფლოტის ნაკლულევანება, რისთვისაც 15 დღით დააპატიმრეს.

# შობა ღამე ზღვის პირად

**მოთხრობა ი. ლ. რუნებერგისა.**

ზღვაში ხანგრძლივმა ცურაობამ და დაუსრულებელმა ქარმა და ქარიშხალმა ხელი შეგვიშალა და საღამომდის ქალაქს ველარ მივაღწიეთ. გაშლილ ზღვაში ვიყავით, განსაცდელი მოგველოდა და უეჭველად ძალიანაც შევშინდებოდით, რომ ერთ თანამგზავრს თავის მხიარულის ამბებით არ გაეფანტა ჩვენი შიში. იგი უცხოელი იყო და უფროსობდა თავის გემს, რომლითაც ჩვენს ნავთსადგურში ზამთრობდა ხოლმე. ყველაზე ნაკლებ იგი შობა ღამეზე ფიქრობდა და სრულიად არა სცდილობდა ეს ღამე ხმელეთზე გაეტარებინა, რადგან არც მშობლები და არც ნაცნობები არ ელოდნენ. ქარსა, სიცივესა და წვიმაში გამოწვრთილ-ნაცადი იყო.

დრო მიდიოდა, მაგრამ ზღვაზე ჩვენი ცურვა არ უმჯობესდებოდა. წინ წასვლას ვცდილობდით, მაგრამ ქარს, რომელიც გაშმაგებული გემის იალქნებს ებრძოდა, ვერა ვძლევდით. ბოლოს ნაპირამდე მიღწევის იმედი სრულიად დავკარგეთ და გადავწყვიტეთ ღამე გაგვეთია „ლოცმანის კუნძულის“ ნაძვით დაფარულ ნაპირზე, რომ იქ მეგემეებთან თავი შეგვეფარებინა. ჯერ ისევ შორიდანვე დავინახეთ მკრთალი სინათლე, და მხიარულმა გემის უფროსმაც გემი იქით გააბრუნა.

— კვეხნით არ ვიტყვი, ბატონებო,—სთქვა გემის უფროსმა და თან ფუნჯით დიდი ჭიქა აივსო,—ძალიან ღონიერი ქარი უბერავს. ასეთი ქარი და თითქოს უარესიც უბერავდა მაშინ, როცა ოთხის თუ ხუთის წლისა მარტოდ ვცურავდი გაშლილ ზღვაზე. ხუთის წლისა ვიქნებოდი (თუმცა ეს ამბავი გავიგე ოცდა ათის წლისამ), როდესაც მოულოდნელად ღამე გაშლილ ზღვაზე მოვყე, აი ისე, როგორც ეხლა. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ მაშინ განგებას ჰქონდა მინდობილი ჩემი ბედი, ეხლა კი მშვენიერი იალქნებიანი გემი მაქვს; მაშინ მთლად გათოშილ-გაყინული ვიყავი, ეხლა კი ძვალ-რბილში სითბოსა ვგრძნობ. მახსოვს ის მიზეზი, რომელმაც ჩემი პირველი მოგზაურობა გამოიწვია, მაგრამ ის კი არ მახსოვს, რისთვის ან ვისგან ვიყავი დატოვებული მარტოდ-მარტო ზღვის ღელვის დროს. ბნელოდა. სრულიად არა სჩანდა რა. როდესაც ნიჩბის მოსმა ვცადე, ტალღამ ნიჩაბი ხელიდან გამაგდებინა. რამდენხანს დავრჩი ამ მდგომარეობაში, კარგად არ მაგონდება, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ შემდეგ ნავთსადგურში კეთილ ადამიანების ხელში ჩავვარდი. ადამზე კარგად მეც არ ვიცი, მშობლები მყოლია თუ არა. ვინც მე ამიყვანა და გამზარდა, ხელობით კანტრაბანდისტები იყვნენ. იმათ შორის ვიზრდებოდი და იმათ ხელობას მივდევდი, სანამ წვერ-ულვაშით შევიმოსებოდი. შემდეგ ერთ ვაჭარს გავყე და კარგ ვაჟკაცადაც გავხდი...—დაამთავრა გემის უფროსმა და მარჯვედ გემი ამოშვერილ ქვებს მოატარა და ნაპირს მიგვაყენა.

ნავი, ოდნავ იალქნებ-აფორიაქებული, იდგა ზღვის ყურეში, რომელიც ქარის მიერ ჩამოთლილ კლდეების კედლებს აჰფარებოდა. გემის უფროსი ორის ახალგაზდა კაცით ნავზე დარჩა, რომ იქაურობა რიგზედ მოეწყო, დანარჩენთ კი ზმორით, მთქნარებით, ბორძიკით და კანკალით სინათლისკენ გავწიეთ.

ქოხს შობის ღამე ეტყობოდა. ოთახი კარგად გაენათებინათ და ბუხარიც გუგუნებდა. მაგიდაზე რამდენიმე მოზრდილი შანდალი იდგა და გარშემო თითო სანთლიანი შანდლები ემწკრია. კედლები ბადეებით და მეთევზის სხვა იარაღით იყო დაფარული, კუნჭულიდან ციკნებისა და თხების თეთრი მატყლი მოსჩანდა. ამ ქოხის ამალას შეადგენდა ერთი დედაბერი, რომელიც მაგიდასთან იჯდა და ლოცვანს კითხულობდა და შუახნის მამაკაცი თავის ცოლით და ხუთის შვილით. ოთხ პატარას ყურები მიჰქონდათ თავიანთის სტვირებით, მეხუთე კი, ყველაზე უფროსი, ხმას აყოლებდა დანჟღრეულ სალამურით.

როდესაც შევედით, სახლის უფროსი ფეხზე აგვიდგა, ბავშვები შეტუქსა და მხიარულად თავი დაგვიკრა. დედაბერმა ლოცვანი იქით გადასდო, სათვალეები მოიხსნა და დაკვირვებით აგვათვალიერა.

— ბატონებო, უფალს საიდან გამოუგზავნიხართ?—შეგვეკითხა იგი:—განა ოჯახი არა გაქვთ, რომ შობა ღამე გაგეტარებინათ? ან იქნება ზღვაზე ცუდი რამ შეგემთხვათ? მაგრამ ლოცმანისათვის რომ ნიშანი არც კი მიგიციათ?

ამ სიტყვების შემდეგ ნერწყვით თითები დაისველა, სანთელს ნამწვი მოაცილა, ადგა და პირდაპირ მოგვინათა.

— აბა ვნახოთ, რითი გაგიმასპინძლდებით... ჭიჭყინა თევზები ბევრი გვაქვს და ანაც რძეს მოგვიწველის, მაგრამ რძის ფლავს უდროობისა გამო ვერ მოგიხერხებთ.

ცოლ-ქმარი დედაბერსავით მალე შეგვეჩვია. ერთად ფუნჯიც კი გადავკარით. კარგად გავთბით და ამ წყნარ ოჯახში თავს მშვენივრად ვგრძნობდით. დედაბერი საწოლს გვიმზადებდა და თანაც რძის საწველად ანას აჩქარებდა, როდესაც თოფის ხმამ უცბად შეაკრთო. ამ წამიდან იწყება ის ამბავი, რომელსაც ჩვენ სრულიად არ ველოდებოდით.

გემის უფროსს, რომელიც ნავზე დარჩა, ყველაფერი რიგზე მოეწყო, იალქნები გაემაგრებინა, ნავი დაება, ავეჯი გამოეგზავნა და ის იქო ნაპირზე უნდა გადმოსულიყო, რომ მოჰგონებოდა ის ჩვეულება. რომელიც ჩვენ დაგვავიწყდა: თოფის გასროლა მანამდე, სანამ სახლში შევიდოდა. დედაბერზე თოფის ხმამ ისე ძრიელ იმოქმედა, რომ ხელიდან ბალიში დავარდა.

— გაიგონეთ?—შეგვეკითხა დედაბერი აღელვებულის ხმით:—გაიგონეთ თოფის ხმა? ღმერთმა დაიფაროს „იუნო,“ რომელიც ნორვეგიიდან ძალა-უნებურად ასე ადრე უნდა დაბრუნებულიყო. ეტყობა, სადმე გარიყა. შეეშველე ნავით, ჩემო ბიჭიკო! მხოლოდ პირდაპირ ჩრდილო-ქარისკენ დაიჭირე, რომ ზურგიდან გიბერავდეს. ბავშვებზე თვალ-ყურს ჩვენ დავიჭერთ. ამათთვის ნუ შესწუხდები, მხოლოდ დააჩქარე.

ახალგაზდა ადვილად მიხვდებოდა, რომ მოხუცს ყურები ატყუებდნენ. იმისმა „ბიჭიკომ“, ორმოცის წლის ჭაღარა-შერეულმა კაცმა, ღიმილით გააწყვეტინა რჩევა და ხუმრობით და თავაზიანად უპასუხა:

— თქვენ ყურებში, დედი, ვგონებ ხშირად ისვრიან ხოლმე. ვგონებ მაშინაც კი ასე გეჩვენოს, როდესაც კუბოს ფიცარზე ბუზი გადაგირბენს. მე-კი ვატყობ, რომ თოფის ხმა უფრო იყო, ვიდრე ზარბაზნისა „იუნოდან“, რომელზედაც ზორბა ზარბაზანია.

— კმარა, კმარა!—მოიღუშა დედაბერი.—ახალგაზდები ყოველთვის სცდილობთ მოხუცებულებს თქვენი თავი გონიერად აჩვენოთ. ჯერ ისევ საღ გონებაზე ვარ. ღმერთმა დამიფაროს! სხვებისთვის შობა ღამე სასიხარულოა, ჩემთვის კი მწუხარებად გადაიქცა. მე დამნაშავე არა ვარ... დაბძანდით, ბატონებო, ცეცხლთან და გიამბობთ, რა ჰქნა ერთხელ საბრალო ულონო ქალმა და როგორ დაჯილდოვდა ამისათვის.

ჩვენ მოხუცის პატიჟს მივყევით. ახალგაზდა დიასახლისი ვახშმის მზადებას შეუდგა და ჩვენ მიერ მიტანილ ხორცს აცხელებდა. როდესაც დავსხედით, მოხუცმა დაიწყო:

— ეს ამბავი ამ რამდენისამე წლის წინად მოხდა, სწორედ შობა ღამეს. ერთხელ სახლში მარტოდ-მარტო დავრჩი. ჩემი ორი პატარა ვაჟი ანგარიშში ჩასაგდები არ იყო, რადგან იმათ ჩემი მზრუნველობა უფრო ეჭირვებოდათ, ვიდრე მე იმათი დახმარება. ზღვა მაშინაც ისე ღელავდა, როგორც ეხლა, და თუმცა ამ ჟამად ბუხარს ქარი ძალზე დაღმუის, მაგრამ მაინც მაშინდელთან შედარებით იგი ნიავსა ჰგავს. ჩვენ არავითარ გემს აღარ ველოდებოდით და ჩემი ქმარი ამიტომ ამხანაგებთან ერთად ქალაქს გაემართა, რომ მეორე დღეს ეკლესიაში წასულიყო და შობის ღამეც უფრო მხიარულად გაეტარებინა. მე მაშინაც ჯერ კიდევ ბროწეულივით ლოყები მქონდა და გულკეთილი ვიყავ იმდენად, რამდენადაც ქალს შეეფერება. მაშინ ფსალმუნს ვკითხულობდი ისე, როგორც თქვენ შემოსვლის დროს. ბავშვებმა ივახშმეს და მერე თავიანთის სათამაშოებით ერთობოდნენ. უფროსი, რომელიც 10 წლისა იყო და ეხლა კი მოხუცია და ჭაღარა, ქერქისაგან გაკეთებულ ნავს იატაკზე დაარბენინებდა. უმცროსს კი თევზის ფიცარი ეჭირა და ფერად ღვრინჭილებით ერთობოდა. საღამოს ასე ვატარებდით, როდესაც მოულოდნელად ზღვიდან ზარბაზნის ხმა მოისმა. ღმერთმა მაპატიოს, თუ კარგად ვერ მოვიქეცი... იმ დროს ხეირიანად ვერა მოვიფიქრე-რა. უფროსი შვილი წავიყვანე, ნავი აუშვი და ზღვაში შევცურდით. უმცროსი თან გამომყოლიყო ნაპირამდის. მართალია, ვტუქსავდი, ვეუბნებოდი სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ ის მაინც ფეხს არ იცვლიდა და თვალ-ცრემლიანი უკან დაბრუნებას მეხვეწებოდა. მალე იმისი ხმა ზღვის ქარმა და ტალღებმა ჩანთქეს. როდესაც ნავით ნაპირს გავცდით, გემზე სინათლე შევნიშნე. გემი სიბნელეში პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა, სწორედ იქით, სადაც ზღვიდან კლდეებს თავები ამოეყოთ. კაცს ეგონებოდა, ეს გემი თავის დღეში ჩვენ ნავთსადგურში არა ყოფილაო. დროზე მიუსწარ, გემი კლდეებს გარშემო მოვატარებინე და ამ გვარად უსწავლელმა, ულონო დედაკაცმა გადავარჩინე გემი და ნავთსადგურამდის გზა ვუჩვენე. ეს საღამო ჩემთვის სანატრელ მოსაგონად შეიქნებოდა, სახლში რომ უბედურობა არ მომხდარიყო. დილის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ჩემ ქოხში დავბრუნდი. დასვენებას ვფიქრობდი, მაგრამ დასვენება უფრო ტანჯვად გადმექცა: უმცროსი შვილი სადღაც გამქრალიყო. მთელი ღამე ვეძებე ფარნით ხელში, ყველა კუთხე მოვიარე, ბევრი უძახე, ჩემი ხმა თვით ზღვის ღელვას აყრუებდა, მაგრამ ამაოდ. გათენებისას მარტო პალო-ღა ვნახე, რომელზედაც ჩვენი მეორე ნავი ება. ეს ნავი ღამე უცბად სადღაც ჩაყლაპულიყო. ამის შემდეგ ვეღარ ვიპოვნეთ ვეღარც ნავი და ვეღარც შვილი. მართალია, ნავსაც ფასი ჰქონდა, მაგრამ შვილი ჩემ თავს მერჩივნა..

მოხუცი გაჩუმდა და ატირდა. გემის უფროსი, რომელიც მოხუცის ლაპარაკის დროს სახლში შემოვიდა, ყურადღებით არ უსმენდა. იგი კედლების ჭერს და მთლად იქაურობას დაკვირვებით ათვალიერებდა, მაგრამ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა თევზის ფიცარს, რომელიც კედელზე ბუხართან ეკიდა

როდესაც მოხუცი გაჩუმდა, გემის უფროსი მივიდა იმასთან, სერთუკისა და პერანგის ღილები გაიხსნა, ღვრინჭილების ჩანჩხურა ამოიღო და მუხლზე დაუდო. მოხუცი ერთ წამს ათვალიერებდა, შემდეგ მაღლა აიხედა და გაკვირვებით დააშტერდა უფროსს. უეცრად ფეხზე წამოიჭრა, კისერზე ხელები მოჰხვია და აქვითინდა. როდესაც ჩვენსკენ მობრუნდა, მთელ იმის სახეზე ღიმილი თამაშობდა.

— როგორ ვევხარ მამა შენს!—უთხრა იმან:—თუმცა შენ უფრო ლამაზი ხარ. ღმერთმა დაგიხსნას განსაცდელისაგან, საძაგელო! ვინა გთხოვა, ზღვაში გაქანდიო? მაშინდელ ქარიშხალს განა შენ გაუძლებდი? მაგრამ მე თვითონ ვიყავ დამნაშავე, რომ ტახტზე არ მიგაბი. რასაკვირველია, მაშინ სახლიდან ფეხს ვეღარ მოიცვლიდი. ეჰ, მადლობა ღმერთს, სიკვდილი ეხლა მშვიდობიანად შემიძლიან და ანგარიშსაც იქ ვეღარავინ მომთხოვს.

ჩვენ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. გვეგონა, შობის ღამეს მოწყენით გავატარებდით: ის კი არა—ჩვენ სიმხიარულეს საზღვარი არა ჰქონდა.

**ალ. საათაშვილი.**

# სამი მოგვი

**ანდრე ტერიესი.**

მოგვთა ხელმწიფე ბალტასარი, მელხიორი და გასპარი ახლად დაბადებულის იესოს საძებნელად მიდიოდნენ და თან



რუსის ტყვე-ოფიცრები და დაჭრილი ოფიცრები დალნში.

ოქრო, გუნდრუკი და ზეთი მიჰქონდათ საჩუქრად. მაგრამ ბეთლემის გზა კარგად არ იცოდნენ და ერთს მიუვალ ტყე-



იაპონელთა წითელი ჯვრის მოსამსახურენი განგებ თავს იმკვდარუნებენ, რომ დაჭრილებს მიეშველნენ.

ში გზა დაეკარგათ. ბევრი იარეს, ბევრს ეწვალნენ და ბოლოს, შუა ღამისას, სამ მგზავრს ბედმა გაუღიმა და რაღაც სოფელს წააწყდნენ. დაქანცულობით მუხლთ ეკრებოდათ და საჩუქრების ტარებით ხელები ისე დაღლოდათ და დაჰბუჟებოდათ, რომ მათი განძრევა შეუძლებელი შექმნილიყო. ყველა ამას სიმშილ-წყურვილიც ზედ ერთობოდა. მეტი ჯანი არ იყო, პირველი ქოხის კარები უნდა დაერახუნებინათ და თავის შეფარება ეთხოვათ. მართლაც ასე მოიქცნენ.

ტყის პირად აშენებული ქოხი, რომელსაც მოგვნი მიადგნენ, შეშის მჭრელს დენის ფლერიოს ეკუთვნოდა, რომელიც ცოლითა და ოთხი შვილით ათას გაჭირვებითა და ვაივაგლახით ძლივს-ძლივობით მიაჩანჩალებდა თავის ცხოვრებას. თიხითა და ბზით აშენებულ ქოხს ზევიდან ხავსმოკიდებული ბანი ჰქონდა გადაფარებული, რომელიც წვიმისა და ავდრისაგან მის ქვეშ შეფარებულ ოჯახს ვერ იფარავდა ხოლმე.

სამი ქანც გაწყვეტილი მეფე კარებს მიადგა და როცა შეშის მჭრელი გამოვიდა, მასპინძელს ბინა და რამე საჭმელი სთხოვა.

— ვაი ჩემ თავსა, კეთილო ხალხო,—მიუგო ფლერიომ,—მე მხოლოდ ერთი საწოლი მაქვს ჩემთვისა და ჩემი ცოლისთვის და შვილებისთვის რამდენიმე ფიცარი; ვახშამს კი რაც შეეხება, მოხარშული კართოფილისა და ჭვავის პურის მეტი არა გამაჩნია-რა. მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, თუ წუნიები არა ხართ და ცოტაზედაც დაგვკმაყოფილდებით, უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდეთ, როგორც შეგვიძლიან, ისე გაგიმასპინძლდებით. მოგვნი შევიდნენ ქოხში, კართოფილითა და ჭვავის პურით ივახშმეს და დაძინება რომ დააპირეს, მასპინძლებმა მგზავრებს თავისი საწოლი დაუთმეს. დიდის გაჭირვებითა და სივიწროვით, როგორც იყო ბალტასარი და მელხიორი მოთავსდნენ ამ საწოლზე და გასპარმა კი ამხანაგების ვეებერთელა სხეულებთან თავისთვის ადგილი ველარ იშოვნა და რაკი თავისუფლებაც უყვარდა, იატაკზე მოისვენა. მეორე დღის ბალტასარი, "რო-

მელიც ყველაზე გულკეთილი იყო, მიუბრუნდა ფლერიოს და უთხრა:

— თქვენ გულკეთილი ხართ და სტუმარ-მოყვარეობის დასაჯილდოვებლად ერთი რამე მინდა საჩუქრად გიძღვნათ.

— ჩვენ მხოლოდ კაცთ-მოყვარეობით მოგეცით ბინა და ამაში სასყიდელს ვერ გამოგართმევთ!—უთხრა შეშის მჭრელმა, მაგრამ საჩუქრის მისაღებად ხელი კი მაინც გააწოდა.

— მე ფული არა მაქვს თანა,—განაგრძო ბალტასარმა:—მაგრამ ფულზე ძვირფას რამეს დაგიტოვებ სანახსოვროდ.

ბალტასარმა ამ სიტყვებით ჯიბეში ხელი ჩაიყო, პატარა, აღმოსავლეთის მხარეს გაკეთებული სალამური ამოიღო და გაკვირვებულ ფლერიოს გაუწოდა. მაგრამ მასპინძლის გაკვირვებულ სახეს რომ მოჰკრა ბალტასარმა თვალი, განაგრძო:

— ამ სალამურზე დაკვრის დროს, რასაც ისურვებ, ყველაფერი აგისრულდება. გამომართვი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მოვალე ხარ ღარიბ ხალხს კვლავაც გაუმართო ხოლმე ხელი.

*
* *

მგზავრები თვალთაგან რომ მიიფარნენ, დენის ფლერიო ცოლს მიუბრუნდა, პატარა სალამური გაუწოდა და უთხრა:

— ნუ თუ ამაზედ უკეთესი არა მოეძებნებოდათ რა? მაგრამ, დამაცა, ვცადო მაინც, მასხარად ხომ არ აგვიგდეს.

მერე, ნახევრად მასხარაობით შესძახა:

— მე მსურს, რომ საუზმეთ მშვენიერი თეთრი პური, კაი საჭმელები და წითელი ნუნუა მქონდეს.

მერე რაღაც ნაცნობი კილო დაუკრა სალამურზედ და თეთრ სუფრა-გადაფარებულ მაგიდაზედ მართლა გაჩნდა ყველაფერი, რასაც ნატრობდა.

რასაკვირველია, როცა დარწმუნდა შეშის მჭრელი, რომ სალამურს საკვირველ-მომქმედი ძალა ჰქონიაო, ცოტას აღარ დასჯერდა და რა სურვილიც კი გაუჩნდებოდა, ყველას ისრულებდა. ფლერიო მეტს თითქმის აღარას აკეთებდა—გათენებიდან მოყოლებული შუაღამემდის სულ სალამურზე უკრავდა. ასე, ამგვარად ცოლ-შვილიც მშვენივრად შემოსა და თიფო-



სწრაფი ფოსტა იაპონიის ჯარში

ნაც შეიმოსა და სახლ-კარი, ღვთის წყალობა გაქვს, ყველაფრით გაავსო. რაკი რამის შიძინაზედ არაფერი ჯაფა არ სჭირ-

დებოდა და რაც უნდა ძვირფასი რამე მოსდომოდა, სალამურზედ დაკვრით ყველაფერს მალე შეიძენდა ხოლმე. სულ ცოტა ხანში ფლერიო შეძლებულ და მდიდარ კაცად გადაიქცა. ძველ ნახევრად დანგრეულ ქოხის ნაცვლად ფლერიომ ჩინებული კოშკი ამართა და ეს ამოდენა შენობა ძვირფას ავეჯეულობითა და ხალებით აავსო. როცა ყველაფერი დაამთავრა, სახლი აშენდა და ძვირფასი ავეჯეულობით აივსო, ფლერიომ სადღესასწაულო ზეიმის გამართვა მოინდომა.

ვერცხლითა და ოქროთი მორთულ-მოკაზმულ სუფრაზედ მეზობელი ხალხი მოიწვია. თითონ ფლერიო თავის ცოლით, ხატებსავით, ძვირფას თვალებითა და სამკაულებით მორთული მაგიდის თავში იჯდა. იქვე, საგანგებოთ ამაღლებულ ადგილზედ მემუსიკენი ისხდნენ და სტუმართა ყურს ტკბილის მუსიკით ატკბობდნენ. ეს ქეიფი და დროს გატარება რომ არაფრით დაჩრდილულიყო, ბატონმა უბრძანა მოსამსახურეებს, ღარიბი ხალხი არ შეეშვათ ეზოში. ამის მისაღწევად ფლერიომ კეტებით შეიარაღებული ორი ბოროტი მოსამსახურეც კი დააყენა კარებში და უბრძანა, მაწანწალა და ღარიბი ვინმე ერთი წუთითაც კი არ შემოეშვათ ეზოში.

ასე, ამგვარად, უზრუნველყოფილი სტუმარ-მასპინძლები უზომო სიმხიარულეს და დროს გატარებას მიეცნენ.

*
* *

ისე მოხდა, რომ მოგვთა მეფეებმა ბეთლემიდან დაბრუნებისას, სადაც იესოს ნახვის ღირსნი გახდნენ და ძღვნად მიტანილი ოქრო, გუნდრუკი და ზეთი მიერთმიათ, ისევ ფლერიოს სოფელს გაუარეს, ახლო მახლო ქოხ-მოხები იცნეს, მაგრამ საუცხოვოდ მორთულმა და გაჩირაღდნებულმა კოშკმა კი გააკვირვა მგზავრნი და გესლიანის ღიმილით გასპარი ბალტასარს მიუბრუნდა და უთხრა:

— ნეტა ვიცოდე, კარგად მოიხმარა შეშის მჭრელმა შენი საჩუქარი და ხომ არ დაარღვია თავისი პირობა, რომ ღარიბი ხალხის გამკითხველი დავრჩები მუდამო?









— ძაღლო, რადა ჰყეფ?
— მგლებს ვაშინებ.

— ძაღლო, კუდი რად ამოგიძუებია?
— მგლებისა მეშინიან.

— თუ გინდა, ვნახოთ,—მოკლედ მოუჭრა სალტ[illegible].

სამთავენი ერთი წუთის განმავლობაში მათხოვრებად იქცნენ და ძვირფას ტანთსაცმელის ნაცვლად კონკებში გამოხვეულნი გალავნის კარებს მიადგნენ და თავის შეფარება სთხოვეს მეკარეებს.

მეკარეები დიდ უარზედ იდგნენ და, რაკი მგზავრები თავისას არ იშლიდნენ, საშინელი ხმაურობა და ყვირილი ასტყდა. ამ ხმაურობაზედ ფლერიომ თავი გადმოჰყო ფანჯარაში და მეკარეებს უბრძანა, დაუპატიჟებელ სტუმრებისთვის ძაღლები მიესიათ. გაავთრებული და გაალმასებული ძაღლები ეცნენ ძონძებში გამოხვეულ მოგვებსა და ერთის თვალის დახამხამებაზედ არა სასურველი სტუმრები სულ მოაშორეს ფლერიოს კარმიდამოს.

— მე ეჭვი არა მქონდა, რომ შეშის მჭრელ სწორედ ეგრე მიგვიღებდა!—შესძახა წყევლა-კრულვით გასპარმა, რომელსაც ერთმა ძაღლმა კანჭში უკბინა.

— კარგი,—მიუგო მელხიორმა,—დიდი ხანი ვერ იპარპაშებს ჩვენი ფლერიო მაგ სიმდიდრეში!.. ამ საათში გაიგებს, როგორაც უნდა მოგვთა მეფეების გარეკა!..

ამასობაში ფლერიოს სტუმრები დიდ განცხრომაში იყვნენ. ის იყო ტკბილეულობაც მოიტანეს სუფრაზედ და ფლერიო დანით ხელში გამასპინძლებას აპირებდა, რომ ეზოში ოთხ ცხენ შებმული და ოქრო ვერცხლით მორთული ეტლი შემოიჭრა. მოგვთა მეფენი, ძვირფას თვლებითა, სამკაულებით და ოქროს გვირგვინებით მორთულ-მოკაზმულნი ფლერიოს სასახლეში შევიდნენ.

ფლერიომ პირველ შეხედვითვე იცნო უწინდელი თავისი სტუმრები, დიდის სიმდაბლითა და პატივის ცემით თავი დაუკრა და სუფრაზედ მიიპატიჟა.

— გმადლობ! — უკმეხად მიუგო ბალტასარმა, — ჩვენ იმისთანა კაცთან არა ვსხდებით ხოლმე, რომელიც ასე უმოწყალოდ ექცევა ღარიბ-ღატაკ ხალხსა.

— კარგად გვცოდნიათ პირობის ასრულება! — შესძახა თავისი ხმით მელქიორმა.

— გაკიცხვის მაგიერ ძაღლებს მიუსევ ხოლმე მათხოვრებს?! — შესძახა გასპარმა და ნაკბენ კანზედ ხელი მოისვა: — დამაცადე, ისეთი სიმღერა დავუკრა, რომ იმისთანა შენ სიცოცხლეში არ გაგეგონოს!..

ამ სიტყვებით ფლერიოს სალამურის მსგავსი საკრავი ამოიღო და რაღაც საზარელი და საშინელი კილო დაუკრა. ამ ხმაზედ მაგიდა, სტუმრები და კოშკი ერთ წუთს გაჰქრა და მხოლოდ მჭრელი თავის ცოლ-შვილით ისევ ნახევრად დანგრეულ ქოხში გაჩნდა შიშველ-ტიტველი.

— საბედნიეროდ, ჩემი სალამური ხომ შემრჩა, — გაიფიქრა გულში ფლერიომ. მაგრამ ტყუილად იქექავდა ჯიბეებს: საუცხოვო და საკვირველ-მოქმედი სალამური და მოგვთა მეფენი იმ სიმდიდრესთან ერთად გამქრალიყვნენ.

* *
*

ამ დღის შემდეგ მთელ საფრანგეთში ჩვეულებად დარჩა, როცა საშობაო სამის მეფის სახელობაზედ გამომცხვარ ქადას დასჭრიან, უპირველეს ყოვლისა ერთ ნაწილს ღარიბებისათვის გადასდებენ ხოლმე.

ი. პ—ვი.

ზოოლოგიიდან. მშიშარა თაგვები.



ახლა!




გაზ. „მოსკოვსკია ვედომოსტი“ გაზ. „გრაჟდანინი“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

ისთვის ადგილი ველარ იშოვნა და რაკი თავისუფლებაც არდა, იატაკზე მოისვენა. მეორე დღეს ბალტასარი, "რო-

ნაც შეიმოსა და სახლ-კარი, ღვთის წყალობა გაქვს, ყველაფ-